№ 193
ხუთშაბათი, 18 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 193
ხუთშაბათი, 18 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ქართულის თეატრის ამხანაგობის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი დამდეგ სეზონისათვის **იწვევს** ყველა **სცენის მოყვარეთ**, რომელნიც მოისურვებენ ქართულ თეატრში სამსახურს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის წევრს **პავლე ყიფიანს** ყოველ დღე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობის გამგეობა აგრეთვე სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალური, გადმოკეთებული, ანუ გადმოთარგმნილი პიესები აქვს, თავისის პირობებით წარმოადგინოს ამავე ადრესით.

(10—6.—8)

ქართველ-ქალთა
## ამხანაგობის
## სახელოსნო-სამკერვალო

ძველის ბინიდგან ახალში გადავიდა, ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

მსურველთ აქვე შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმის ი, რომ პატარა ქალები მიაბარონ მოსწავლეებად;

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

(5—უ.—3)

## მისაღები ეგზამენები
## ტფილისის საზაოსნო სასწავლებელში

იქნება 15 და 16 ოქტომბერს.

თხოვნა სასწავლებელში შესვლის მსურველთაგან 12 ოქტომბრამდე მიიღება.

(3—177—3)

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ **მორიგი კრება** ამ **საზოგადოების წევრთა** დანიშნულია შაბათს, ოც სექტემბერს, თავად-აზნაურობის ბანკის შენობის დარბაზში.

(5—უ.—3)

ქართული თეატრი

კვირას, 21 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილი იქმნება:

„ვაის გაეყარე ვუის შეეყარე“

კომ. 3 მოქ., გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, კუნდელი, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და ადამიძე.

დასასრულ

## დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ბ-ნნი არ. ახნაზაროვი და ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მთავრობის ნებართვით

## 5 მანათად

თვეში **გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს ბავშვებს პირველ კლასისათვის, დანარჩენს კლასებში—ერთმანეთთან შეთანხმებით.

მოლაპარაკება შეიძლება 3—6 საათამდე. მიხეილის ქუჩაზედ, სომხის ეკკლესიის ეზოში, ზემო სართული, ვარანცოვის ძეგლის ახლო.

(6—176—4)

## ვკისრულობ

ხელთნაწერების გამოცემასა (ბეჭდვას) ავტორთა და მათ პატივისმცემელთა ხარჯით.

**ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

(3—167—3)

## 100 მანათად

ხავერდის ახალი ტალმა მანდილოსნისათვის

ტალმას წავის ბეწვის საყელო აქვს და ბეწვისავე სარჩული.

მეიდგელთ მიჰმართონ: ნორაშენის ქუჩაზედ, სახლი მელიქ-ნუბაროვისა (ნორაშენის ეკკლესიის პირდაპირ, მე-5 ნაწილში).

(5—უ.—4)

### მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა ქალაქ ნუხის პოლიციის ბოქაულის თანაშემწე, კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი ვაჩნაძე—ყაზახის სამაზრო გამგეობის მე-IX კლასის შტატს გარეშე მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ამ თვის 20-ს ბათუმს მიდის.

*** ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. ფ. ა. ბიკოვი ამ თვის 22-ს ხაშურს მიდის და იქიდგან აბასთუმანს წავა.

*** ამას წინად უცხოელ გეოლოგთა სატარებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გამოიწერა თორმეტი ვაგონი I კლასისა, რომლებიც დაუშლელად მოიტანეს პეტროვსკიდგან ბაქოს.

*** ამ ჟამად ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა შეუდგენია რკინის გზის ტფილისის სადგურისა, სადგურის გზებისა, დეპო და სახელოსნო ქარხნების ელექტრონით გასანათებლად. ტფილისის სადგურზედ 25 დიდი ფარანი და 1200 პატარა ელექტრონის ლამპარი უნდა დასდგან და ამის გასამართად რკინის გზის გამგეობა სთხოვს 105,755 მან. ამას წინად რკინის გზის გამგეობამ შეადგინა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ბაქოს სადგურის ელექტრონით განათებისა და ეს პროექტი უკვე პეტერბურგს გაჰგზავნა. ამ დღეებში ამ გვარივე პროექტს შეადგენენ სადგურ ბათუმის შესახებ.

*** გზათა მინისტრის მიერ გამოგზავნილმა ინჟენერმა იოლშინმა უკვე გაათავა გამოძიება სხვა-და-სხვა საჩივრისა, რომლებიც რკინის გზაზედ მსახურთა მიუციათ ბ-ნ გზათა მინისტრისათვის, და პეტერბურგს წასულა.

*** რკინის გზის უფროსი ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი საგანგებო მატარებლით ამ თვის 20-ს ბათუმს მიდის. იმავე მატარებლით სადგურ რიონიდგან ბათუმსვე გაემგზავრება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ ლეიტენანტი შალიკოვი.

## ფელეტონი

—

### სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

4) გრაფ ი. პოტოცკის ფარდული. გრაფ ი. პოტოცკის ფარდული ერთი საუკეთესო და გამოფენის მიდამოს დამშვენებელი შენობაა, როგორც გარეგნობით, აგრეთვე შიგ გამოფენილ ნაწარმოებთა მხრივ. ფარდულის ერთი ნაწილი მორთულია საკუთარის მამულიდგან ჩამოტანილ შაქრისა, პურისა, ტყისა და სხვ. ნიმუშებით; მეორეში—ფრინველთა და მხეცთა გამოფიტული თივით ავსებული ტყავებია, აქ თქვენ ჰხედავთ ყველა ფრინველსა და ცხოველს, რასაც შეუძლიან იცხოვროს გრაფის ტყეში: არწივს, მგელს, ტყის ღორს, დათვს, მგელს და მრავალს სხვას.

გრაფ პოტოცკის სმოლდიროვის მამული (ვოლინის გუბერ.) შეიცავს 12.327 დეს. 740 საჟ. სივრცეს, 8.898 დესეტინა ტყე არის, დანარჩენი სახნავ-სათესი. ტყეს დიდი გასავალი აქვს, თითონ ქარხნებშიაც ბევრსა ჰხარჯავს და გარე დასახლებულ გლეხებიც ბლომად ეზიდებიან აქედგან სხვა-და-სხვა საჭიროებისთვის. ტყე გაყოფილი აქვს სამ ნაწილად და მისი გაშენება-ხარჯვა წესიერად სწარმოებს. ერთს ნაწილში ოც დესეტინაზედ მარტო ფიჭვია 76—79 წლებში გაშენებული. საერთოდ სხვა-და-სხვა გვარ ხეებს აშენებენ. ამის გარდა, შეპეტოვის ტყე (ვოლინ. გუბერნიაში) სივრცით 7013 დესეტინაა, ამათ რიცხვში 766 დესეტ. სახნავ-სათესი, ქვის სატეხი, საძოვარი და სხვ. ამ ტყიდგან გატანილი შეშა და ფიცრის უმეტესი ნაწილი იხარჯება მამულის პატრონის შაქრის ქარხნისა და ორთქლის წისქვილში (შეპეტოვისა). მარტო ტყის შემოსავალი ათის წლის განმავლობაში შეადგენს 190.958 მან. ამ საქმეს ბევრი მუშა ხელი სჭირდება, რითაც დიდი სარგებლობა აქვთ ადგილობრივ და ჩამოსულ გლეხებსაც. მუშის ქირა 40 კ.—1 მანეთამდის ადის, ურმისა—75 კ.—1 მ. 20 კ. ამ მხარეს შედარებით შეძლებული გლეხები არიან და ძვირად გადიან სამუშაოდ, გარდა ამისა ახლო-მახლო ქარხნებშიც მუშისა დიდი მოთხოვნილებაა. სადაც მოთხოვნილება აღემატება ბაზარზედ გამოტანილ მუშის ხელს, იქ ხომ ქირაც უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივს.

გრაფ ი. პოტოცკის მამულის ადმინისტრატიულ და ეკონომიურ დაწყობილობას დაედო საძირკველი ორმოც-და-ათის წლის წინად. ამ მამულში, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ბევრ გვარი წარმოება, მეურნეობა-მრეწველობაა: შაქრის ქარხნები, შუშის ქარხანა, ორთქლის წისქვილი, ცხვრის და საზოგადოდ სხვა-და-სხვა საქონელის გაშენება და სხვ.

მთელს მამულში მოთავსებულია სამი შაქრის ქარხანა: 1) „შეპეტოვკა“. ამ ქარხნისთვის დათესილი იყო 1896 წ. 1139 დესეტ. ჭარხალი, გაკეთდა 102,644 ფუთი ფხვნილი შაქარი, საერთოდ სულ 251.190 ფუთი შაქარი. 2) „პრემენჩუკ“ ქარხნისათვის დათესილა ჭარხალი 1152 დესეტ. კეთდება წლიურად 155.772 ფუთი შაქარი. 3) „კლემბოვკა“. დათესილია ქარხნისთვის 920 დესეტინა ჭარხალი, კეთდება 125.130 ფუთი შაქარი.

ულადოვის შაქარ-რაფინადის ქარხანას 96—97 წლ. ჰქონია 1774 დესეტინა ჭარხალი დათესილი, გაუკეთებიათ 154.786 თეთრი ფხვნილი შაქარი, რაფინადი 70.451 ფუთი და სხვა 30.805 ფუთი, სულ 256.042 ფუთი.

ასეთ შაქრის წარმოებას თან მოსდევს შრომის მძებნელ მუშა ლეხთა დაკმაყოფილება, ქონებრივად დახმარება. ზნეობრივად და ფიზიკურად რამდენად ჰმოქმედობს გლეხზედ აქ მუშაობა, ამისას არას ვიტყვით, ეს საზოგადო საგანია, ჩვენ აქ გვსურს აღვნიშნოთ მარტო ის გარემოება, რომ შრომის მძებნელი საქმეს ჰპოულობს, ე. ი. ის, რაც ქარხანაში შესვლამდის ხდება.

შუშის ქარხანა აშენებულია სმოლდიროვის მამულში. ამ ქარხანაში კეთდება მარტო ბოთლები, რომლის რიცხვი შეადგენს წლიურად 2,695,000. ქარხანაში მუდმივ მუშაობს 524 ხელოსანი და 100 იმათი თანაშემწე, დღიურად მთელის წლის განმავლობაში დაქირავებულია 120 კაცი. აქვე სხვა-და-სხვა საქონლის გადატან-გადმოტანას სჭირია წლიურად 6—7 ათასი ურემი.

ცხვრების გაშენების საქმე ჯერ არ არის განვითარებული, მაგრამ მაინც საყურადღებოა. ამ ჟამად 12,000 „ნეგრეტების“ ჯიშის ცხვარია მთელს მამულში. ცხენების გაშენება ორ ნაწილად არის გაყოფილი 1) არაბეთისა და ინგლისის საჯდომ ცხენების გამრავლება და 2) მუშა ცხენების დამზადება. 1896 წელს 1 ივლისს საკუთარ ადმინისტრაციას ჰყოლია 616 მუშა ცხენი და 420 კვიცი. საქონლის გაშენება ჯერ არ არის განვითარებული, 1896 წელს 1 ივლისს სულ 1095 მუშა ხარები ჰყოლია.

დიდის ყურადღების ღირსია გრაფის მამულში გამართული საცდელი და სამეტეოროლოგიო სადგური. უმთავრეს საგნად ამ სადგურს აქვს: 1) საუკეთესო ჭარხლის მოსაყვან პირობების გამოკვლევა-გაგება; 2) პურის მარცვლის შესწავლა და სხვა-და-სხვა ახალ თესლეულობის და ადგილობრივობა (аклиматизированіе), და 3) საცდელ მინდვრების გამართვა, ლითონურ მიწის სასუქის გამოცდა. ამ სამის საგნის გარდა, სადგური სცდილობს ასწავლოს, შეაგნებინოს გლეხებს, როგორ უნდა მოეწყოს პატარა ოჯახობა-მეურნეობა.

5) ნ. და თ. ტერეშჩენკოების ფარდული. ტერეშჩენკოების ფარდული განიყოფება ორ ნაწილად. პირველი

*) იხილეთ „ივერია“ № 187.

⁂ დღეს, 18 სექტემბერს, ტფილისის უძრავ მამულების ხელმეორედ დამფასებელი კომისია ათავებს ქალაქის მესამე ნაწილის უძრავის მამულების დაფასებას. როგორც ამ დაფასებიდგან აღმოჩნდა, წინად მამულები გაცილებით ნაკლებად ყოფილა დაფასებული. შემდეგ კომისია პირველის ნაწილის მამულების დაფასებას შეუდგება.

⁂ მე-39 ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი თავ. მ. კ. ამირაჯიბი ტფილისს დაბრუნდა.

⁂ გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ თელავის მაზრის სოფ. წინანდალის სოფლის საზოგადოებაზედ დარჩენილი სახელმწიფო და საერობო გარდასახადი ოთხის წლის განმავლობაში, ე. ი. 1902 წლამდე იყოს გარდახდილი იმ პირობით, რომ სამის წლის განმავლობაში 1899 წლიდგან ფული ყოველ წელიწადს თანასწორად იქმნეს შეტანილი.

⁂ საფაროვისა, ბოზარჯიანცისა და კიდევ ერთის ამხანაგობის ქარხნის (სახელად „მირ“) მუშებმა მუშაობა აღკვეთეს. მიზეზი ის არის, რომ ქარხნების პატრონებმა მუშებს სამუშაო ფასი დაუკლეს. აქამდე ათასის პაპიროსის გაკეთებაში იძლეოდნენ ცხრა შაურს და ეხლა ორ აბაზად გაუხადეს. ზემოხსენებულ მექარხნეების პატრონები თავის მხრივ ამბობენ, ფასის დაკლება ჩვენი ბრალი არ არისო. ენფიანჯიანცის ქარხანა პაპიროსებს მანქანის შემწეობით აკეთებს, მაშასადამე უფრო იაფად უჯდება პაპიროსების გაკეთება და ჩვენც ან იმის მიხედვით მანქანებით უნდა ვაკეთოთ პაპიროსები ან არა და მუშებს სამუშავო ფასი დავუკლოთო და ისევ უკანასკნელი ღონისძიება ვარჩიეთო.

⁂ სახელმწიფო რკინის გზათა გამგეობამ საყოველთაო მიწერილობით განუმარტა ყველა რკინის გზის გამგეობას და მათ შორის ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასაც, რომ სადგურებსა და ვაგონებში დავიწყებული, ან დატოვებული ავეჯის პოვნის დროს, იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც მპოვნელი რკინის გზაზედ მოსამსახურეთ არ ეკუთვნის, უნდა იხელმძღვანელონ ხოლმე საყოველთაოდ დადებულის წესებით ნაპოვნსა და დატოვებულს ავეჯის შესახებ და არა მე-X ტ. 1 ნაწილის მე-538 და 539 მუხლებში აღნიშნულის კანონით, ე. ი. ნაპოვნი ნივთები უნდა წარედგინოს რკინის გზის გამგეობას.

⁂ ადგილობრივ მხატვრებს აზრადა აქვთ ნოემბერს ტფილისში სამხედრო საისტორიო მუზეუმში სამხატვრო გამოფენა გაჰმართონ.

⁂ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ზოგიერთმა მებაღეებმა შეატყობინეს, რომ გვსურს მონაწილეობა მივიღოთ მებაღეობის გამოფენაში, რომელსაც საზოგადოება მომავალს თვეში მუშტაიდის ბაღში გჰმართავსო.

⁂ ხმოსანმა გ. გ. ევანგულოვმა ქალაქის გამგეობას ცალკე აზრი წარუდგინა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ. ბ ნ ევანგულოვის აზრით, რადგანაც უსახელო საზოგადოების გამგეობამ კარგი პირობები წარუდგინა გამგეობას, ქალაქისთვის უფრო სასარგებლოა, რომ ცხენის რკინის გზა იმავე საზოგადოებას დარჩესო.

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „ხმა დადის, რომ კიევის უნივერსიტეტის პროფესსორი ს. ელიაზაროვი ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტის დირექტორად ინიშნება გარდაცვალებულის ქანანოვის ადგილზედაო“.

⁂ „ტფ. ფურც.“ სწერენ: „ორი წელიწადია, რაც პატარა ლიახვზედ ხიდი წყალმა წაიღო. ამ ხიდის შეკეთება ფრიად საჭიროა საზოგადოებისათვის, მით უმეტეს, რომ მცხოვრებლები და მემამულეები მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ ხიდის შეკეთების საქმეს. ისეთი კაცები აღმოჩნდნენ, რომელთაც წარმოდგენები გამართეს ამ აზრით და ფული გორის სამაზრო გამგეობას გადასცეს, მაგრამ ხიდი ჯერ კიდევ არ არის შეერთებული და ყველას წყალში უხდება გასვლა“.

⁂ გაზ. „ყაზბეგი“ ერთ ფრიად სასაცილო ამბავს მოგვითხრობს. 10 სექტემბერს კავკავის სადგურზედ, ამბობს გაზეთი, თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა, რომელთა მომეტებულს ნაწილს ხელოსნები, მოახლეები, იატაკის მწმენდავები და სხვები შეადგენდნენ. ეს ხალხი შეიყარა თურმე გამოჩენილის გენერალის სკობელევის სანახავად, რომელიც ვითომ როსტოვიდგან უნდა მოსულიყო საღამოს მატარებლით. გენერალი სკობელევი-კი დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა. ხალხი ამბობდა, სკობელევი ჯერ არ გარდაცვლილა, მხოლოდ მტრებს ემალებოდა და საფრანგეთში სცხოვრობდაო. სხვათა შორის, სკობელევი ჩინეთ-იაპონიის ომშიაც იღებდა მონაწილეობას და ცალკე ჯარსა წინამძღოლობდაო. რასაკვირველია, ამბობს დასასრულს გაზეთი, ისინი სკობელევის ნახვას ვერ ეღირსნენ და იმედ გაცრუებულნი შინ დაბრუნდნენ ყველანიო.

⁂ მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზარაში ახალი ყაჩაღი გამოჩენილა, სახელად ნასრ-ედინი. ამ ზაფხულს ნასრ ედინს საუკეთესო თოფებით შეიარაღებული ყაჩაღთა დასი შეუდგენია და მთელი სოფლების რბევა დაუწყვია. ნასრ-ედინის რწმუნებულნი სოფელ-სოფელ დადიან თურმე, ჰკრებენ ცნობებს ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებლების ავლა-დიდებისა და შეძლების შესახებ და შემდეგ დასის უფროსი ამ რიგად შეკრებილის „სტატისტიკურის“ ცნობების შემწეობით ხარჯსა წერს მცხოვრებლებს თითოს 5 მანეთიდგან დაწყებული 200 მანეთამდე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეძლებულია ხარჯის გადამხდელი. ვინც სრულად გადიხდის გაწერილს ხარჯს, ნასრ ედინი თავს ანებებს იმას. თუ ვინმემ განაცხადა, რომ ან შემიძლიან ფულის სრულად შემოტანაო, მაშინ ნასრ-ედინი სხვა დროს უნიშნავს. მაგრამ თუ ვინმემ უარი განაცხადა ფულის შეტანისა, ის მეორე დღეს უეჭველად მკვდარი იქმნება. ხალხი მეტად დაშინებულია და დაუყოვნებლივ ასრულებს ნასრ ედინის ყოველსავე ბრძანებას. იმის სიტყვა ბეჭედდაა მიღებული. თავის მხრივ ნასრ-ედინი გმირულად და სამართლიანად იქცევა თურმე: შეუძლებელს ფულს არა სთხოვს, ხოლო დანარჩენთ შეძლებისადაგვარად ართმევს.

⁂ სხდ. თაუზი. 26 აგვისტოს რკინის გზის სადგურ თაუზში მიიღეს დეპეშა ტატლუდგან შემდეგის შინაარსისა: ბარგის მზიდავ № 72 მატარებლის ბოლო ვაგონებში ჩაჯდა სამი შეიარაღებული ავაზაკი და მოდიან; მიიღეთ რამე ღონისძიება იმათ დასაჭერადაო. ამ დროს სადგურზედ მორიგედ იყო დროებით გაგზავნილი რკინის გზის მართველობისაგან ბ-ნი ალ. ნებიერიძე. ამან მაშინვე უბძანა სადგურის მცველებს, აიღეთ თოფები, შეაგროვეთ ხალხი და, თუ საჭირო იქნება, წაიყვანეთ შეკაზმული ცხენები, რომლებიც სადგურთან აბიან, წადით და შემოსავალში დაუხვდით ავაზაკებსაო. წავიდა მარტო ორი მცველი უთოფოდ და არც არავინ წაიყვანეს. იქვე ეტყობოდათ, რომ ამათი იმედი არ უნდა ჰქონოდა კაცს. სადგურის ბაქანზედ გამოვიდნენ: სადგურის უფროსი ბ-ნი ქუმსიშვილი, უფროსი ტელეგრაფის მოხელე ბ ნი ხიტროვი და ბ-ნი ალ. ნებიერიძე და უყურებდნენ მომავალს მატარებელს. მატარებელი შემოსავალს რომ მოუახლოვდა, ისართან, ბ-ნ ხიტროვმა და იძახა, ყაჩაღები ჩამოხტნენ და მეორე მხარეს, მარჯვნივ, გადავიდნენო. მაშინვე ბ ნი ალ. ნებიერიძე გადავიდა იმავ მხარეს და წავიდა ისრისაკენ. მატარებელიც შემოდიოდა სადგურზედ. მატარებლის ბოლოში რომ მიახლოვდა, შენიშნა, რომ ერთი თათარი თოფსა ჰმალავდა ჩოხის ქვეშ. ნებიერიძემ ვითომც ვერცკი დაინახა და, ვაგონმა რომ ჩაიარა, მოუარა უკანიდგან და უცებ ჩაჰკეტა ვაგონის კარები. ამ დროს სადგურიდგან მოდიოდა ბ-ნი ქუმსიშვილი და ისრიდამ, ბოლოდამ, მე ისრე გაბო ყაჯრიშვილი. შემდეგ ნებიერიძე გაძვრა ვაგონის ქვეშ მეორე კარების დასაკეტად. აი სწორედ ამ დროს ვაგონიდგან ჩამოხტა ერთი თათართაგანი.. ვერც-კი მოასწრო წელში გამართვა, რომ ეცნენ ყაჯრიშვილი, ქუმსიშვილი და ნებიერიძე. ბ-ნმა ნებიერიძემ თვალის დახამხამებაზედ მოსწყვიტა ბერდანის თოფი, ტყვიებით სავსე ჩანთა და ხანჯალი. იარაღ ახსნილი თათარი ყაჯრიშვილს ჩააბარა. ვაგონში დარჩენილ ორს თათარს ბ-ნ ქუმსიშვილმა თათრულად უთხრა, აქეთ ჩამოდით; თუ იარაღს ხელს არ ახლებთ, არაფერს გიზამთო. ეს ორნი სცდილობდნენ დაკეტილის კარების გაღებას გადასახტომად, მაგრამ რომ დაინახეს ბ-ნის ნებიერიძისაგან დამიზნებული თოფი, დამორჩილდნენ და ჩამოვიდნენ. ამ ორსაც თვალის დახამხამებაზედ აჰყარეს იარაღი. ეს სამნი გარს შემოერტყნენ ავაზაკებს გატენილ თოფებით და წამოიყვანეს სადგურისაკენ. სადგურზედ ხელები შეუკრეს და ისე გარდასცეს პოლიციის ბოქაულს. დაჭერილები აღმოჩნდნენ: 1, სოიუნ რაჯაფ-ოღლი; 2, ქადიმ მამადიიბადულა-ოღლი და 3, ასად ალირაჯაფ-ოღლი.

## სამკურნალო საზოგადოების კრება

ოთხშაბათს, 16 სექტემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების კრებაზედ ახალგაზდა

---

დაჭერილი აქვს ნ. ტერეშჩენკოს გამონაფენს, მეორე—მცირე-წლოვან თ. ტერეშჩენკოსას. ორივეს მამული შესანიშნავია.

თ. ტერეშჩენკოს მამული ჩერვონის (ვოლინ. გუბ.), გლუშეცის (კურსკის გუბ.), კორევინეცის და მარტინოვისა (კიევ. გუბ.) 44.000 დესეტინაზედ მეტია. ჩერვონის, მარტინოვის და კორევინეცის მამულებში გამართულია ცალკ-ცალკე შაქრის სამი ქარხანა. პირველი ქარხანა ამზადებს წლიურად 143.502 ფუთს ფხვნილს შაქარს, ჰმუშაობს 140 კაცი და 18 ქალი. ჰმუშაობენ 12 საათს. მუშის ქირა—10 მან. 80 კ., ქალი—6 მან. მუშები ყველანი იქაურივენი არიან, სცხოვრობენ საკუთარს ოჯახში. მეორე ქარხანაში წლიურად კეთდება 255.309 ფუთი შაქარი. მუშები—570 კაცია და 24 ქალი. ქარხნის გარე მუშაობენ ამავე საქმისთვის 213 კ. და 10 ქ., მუშაობა 12 საათს არის. მუშის დღიური ქირა თავისის ხარჯით 40—50 კ., მემამულეს ხარჯით 25—30 კაპ. აქვე არის საავადმყოფო 30 საწოლით და სასწავლებელი, სადაც სწავლობს 144 ბავშვი. მესამე ქარხანა ამზადებს 261.106 ფუთს შაქარს. ჰმუშაობს 93 კაცი და 3 ქალი. ქირა დღიური 35—40, ხელოსანისა—80 კაპ.; იქვეა 20 საწოლიანი საავადმყოფო ‹ პატარა სასწავლებელი. ამავე მემამულეს აქვს ჩერვონის მამულში სპირტის სახდელი ქარხანა, სადაც წლიურად ამზადებენ 7 მილიონზედ მეტის სპირტს. ეს სპირტი ჩვენში იგზავნება. ქარხანასთან გამართულია საავადმყოფო და სასწავლებელი. ყველა საავადმყოფოში ექიმის დახმარებით სარგებლობს მუშა და სხვა სოფლელებიც.

ნ. ტერეშჩენკოს მამული ანდრუშევის, ვოლფინის, გოლოვკოვის, შუკაივოდის ‹ კირილლოვის, ვოლინის, კიევის და კურსკის გუბერნიებშია მოთავსებული, სულ შეიცავს 44 ათასს დესეტინას.

ანდრუშევის მამული (16.432 დეს.) 11.000 დესეტინა სახნავ-სათესი, დანარჩენი ტყე და სათიბია. ამ მამულში 200,000 მანეთის შენობაა, მამულის წარმოებაზე იხარჯება ყოველ წელს 124.000 მან. უკანასკნელს ეკლესიებსა და სასწავლებლებზედ დაუხარჯავს 1) ანდრუშევში სულ 46.630 მან 2) ვოლფინისა—(9.371 დეს.) 2.170 დესეტინა ტყეა, 1.353 დეს. სათიბი, 1.800 დეს. სახნავ-სათესი. მამულში 128.000 მან. შენობებია. წარმოებაზედ იხარჯება წელიწადში 68.000 მან. 3) გოლოვკოვის—(11.750 დეს). 5.933 დესეტინა ტყე, 5.386 დეს. სახნავ-სათესი, დანარჩენი სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის არის. აგებულია 108.560 მან. შენობა. წარმოებაზედ იხარჯება წლიურად 67.279 მან. 4) შუკაივოდის—(3640 დესეტ) 5) კირილოვის (3095),—ესენი პატარა მამულებია.

ნ. ტერეშჩენკოს აქვს სამი შაქრის ქარხანა:

1) სტარო-ოსტიანისა. აქ მზადდება 300.000 ფუთზედ მეტი შაქარი. მუშას ეძლევა 50—60 კაპ. ჭარხალს საკუთარ მამულიდგან ეზიდება. გამართულია აქვე საავადმყოფო, რომლითაც საზოგადოდ სარგებლობენ. 2) ანდრუშევისა—ამზადებს 310.000 ფუთს შაქარს, ჰმუშაობს 800 კ. 80 ქ., ქირა მუშისა 60 კაპ., ქალისა—30. აქვეა 20 საწოლიანი საავადმყოფო, სარგებლობს 10.400 კ. ყოველწლივ, საკუთარი სასწავლებელი, რომელზედაც ეხარჯება წლიურად 3000 მან. 3) ტეტკინისა. ეს ქარხანა აკეთებს 499.973 ფუთს შაქარს. ჰმუშაობს 700 კაცი და 42 ქალი. თვიური ქირა კაცისა 8—12 მან, ქალისა 6—7 მან. არის საავადმყოფო, სარგებლობს 6.000 კაცი, წამალი საზოგადოდ უსასყიდლოა. აშენებულია სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 120 კაცი და 30 ქალი.

ამის გარდა ნ. ტერეშჩენკოს აქვს ორი სპირტის სახდელი ქარხანა; ორივეში მზადდება ყოველ წელს 14.407.531 % სპირტი. აქვეა სასწავლებელი, კიდევ—ტეტკინის ორთქლის და წყლის წისქვილი. უკანასკნელისათვის 65% მასალას ჰყიდულობენ. ათის თვის განმავლობაში დაუმზადებიათ 1,300.000 ფუთი (1895). აქედგან ფქვილს და სხვას ჰგზავნიან რუსეთის შიდა-გუბერნიებში, გერმანიასა კენისბერგსა ‹ დანციგში. წისქვილთან არის საავადმყოფო ოცის საწოლით, სარგებლობს 6.000 კაცი. არის აგრეთვე სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 120 ბავშვი.; აგებულია ეკკლესია და სხვა.

ნ. ტერეშჩენკოს ფარდულში წარმოდგენილია ისკრიკოვის სამეურნეო სასწავლებლის ნაწარმოებნი. ეს სამეურნეო სასწავლებელი ტერეშჩენკოს დაუარსებია და დღესაც თავისის ხარჯით ინახავს. წელიწადში სასწავლებელი უჯდება, როგორც ცალკე ანგარიშიდგან სჩანს, 10.774 მანეთი. სასწავლებელი დაუარსებიათ ექვსის წლის წინად, მას აქეთ სწავლა დაუმთავრებია 22 მოსწავლეს, აქედან თერთმეტი ტერეშჩენკოს მამულშივე დარჩენილა სამსახურში. იმ ჟამად სასწავლებელში იმყოფება 52 ყმაწვილი.

6) ლ. კენიგის ფარდული. კენიგის გუტიანის მამული არის ხარკოვის გუბერნიაში და შეადგენს სულ 18.660 დეს. 10.900 დესეტ. სახნავ სათესი, 4.600 დეს. ტყე, 1.939 დეს. სათიბი და სხვ. გამოფენაზედ ლ. კენიგს წარმოდგენილი აქვს ნაწარმოები ყველა ქარხნებისა, ტყისა და სხვ. გუტიანის მამულში ბევრგვარი ქარხნებია: სპირტის სახდელი, შაქრისა, ფქვილისა და სხვ.

შაროვის წისქვილი წელიწადში იძლევა 352.559 ფუთს. 1896 წელს წისქვილს ფულად შემოუტანია 9.716 მან. წისქვილში დღე და ღამ მუშაობენ. სხვა-და-სხვა მანქანების შემოღებამ მუშების რიცხვი 34 შეამოკლა, ფქვილის 30% საზღვარ-გარეთ მიდის. შაქრის ქარხნები: 1) შაროვისა ამზადებს 278.000 ფუთს შაქარს, ამისთვის 1500 დესეტ. სთესენ ჭარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმმა მ. ა. გედევანიშვილმა, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად დაბრუნდა პარიჟიდგან, წაიკითხა თავისი მოხსენება, ერთგვარის ავადმყოფობის შესახებ, რომელიც 1895 წელს პირველად საფრანგეთის ექიმმა Marie-მ აღწერა და რომელსაც სახელად „აკრომეგალია“ დაარქვა.

კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო, როგორც ექიმები, ისე გარეშე კაცები, რადგანაც ეს ავადმყოფობა ტფილისში ჯერ არავის აუწერია. საინტერესო და საყურადღებოა ეს ავადმყოფობა კიდევ იმითი, რომ მეცნიერებს ჯერ კარგად არა აქვთ იგი გამოკვლეული და არ იციან იმის გაჩენის მიზეზები. გედევანიშვილმა თან ავადმყოფი მოიყვანა 33 წლის ქართველი ქალი, ხელოსნის ცოლი, და მოხსენების კითხვის დროს ყველაფერს თვალ-საჩინოდ უხსნიდა მსმენელებს. აკრომეგალიის უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ ავადმყოფს ხელებისა, ფეხებისა და ქვედა ყბის ძვლები და კანი უსქელდება. უსქელდება აგრეთვე ცხვირისა, ტუჩებისა და ენის კანი და კაკნატელა.

ამ ავადმყოფს ქალს ხელისა და ფეხის თითები ნამდვილზედ ოთხჯელ უფრო ძალიანა ჰქონდა დასქელებული, რაც სხვათა შორის, იქიდგანაცა სჩანდა, რომ ბეჭედი, რომელსაც ავადმყოფობამდის ატარებდა ეხლა ნეკის წვერზედაც-კი აღარ უკეთდება. თვით ქალმა სთქვა, რომ ეს ავადმყოფობა შიშისაგან გამიჩნდაო. ამ ხუთის წლის წინად მშობიარების მეორე დღეს ჩემს ოთახში სისხლში ამოსვრილი და თავ-გატეხილი ჩემი შვილი შემოიყვანესო. საშინლად შეშინებული წამოვარდი და მაშინვე თითები უგრძნობელი შემექნაო. ცოტა ხნის შემდეგ თითები დამიმსხვილდაო. ავადმყოფი შემდეგ იძულებული გამხდარა ბეჭდები აეძრო და სათითეებიც მალ-მალე გამოეცვალა. ქალს ეხლა თან და თან მუცელიც უდიდდება. ხელები იმდენად დაუჩლუნგდა და დაუგრძნობელდა თურმე, რომ როდესაც რასმე დიდხანს იჭერს ხელში, ისე გავარდება ხელიდგან, რომ ვერც-კი იგრძნობს ხოლმე. რამდენჯერმე ხელში აყვანილი ყმაწვილი დაუვარდა თურმე.

## უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილებისაგან

უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილებას 1897 წ. აპრილს მოუვიდა შემოწირულება, ბ-ნთ ტაგიევისა (500 მან.), ცატუროვისა (300 მან.), მირზა-ავაქოვისა (100 მ.), აიგაზოვისა (25 მ.), არამიანისა (50 მ.) და №№-საგან (25 მ.). იმ აზრით, რომ ტფილისის უსინათლოთა სასწავლებლის მოსწავლეები გაგზავნილ ყოფილიყვნენ საზაფხულოდ რომელსამე სააგარაკო ადგილს და სწორედ ზემოდ დასახელებულთა უხვმა შეწირულებამ შეაძლებინა სამზრუნველოს გადაეტანა ამ ზაფხულს სასწავლებელი დ. სურამში.

აგარაკად ყოფნამ ბავშვებს, რომელთაგან მომეტებულმა ნაწილმა წითელა იხადა წარსულს გაზაფხულს, დიდად შეუწყო ხელი და გამოაკეთა, რისთვისაც დიდს მადლობას სწირავენ შემომწირველთ.

აპრილის თვეშივე შემოსწირეს: ტფილისის საკომერციო ბანკმა, 25 წლის დაარსების დღის სახსოვრად, 1,000 მან., ძმ. მირზოევისა და ამხ. ნავთის მრეწველობისა და სავაჭრო ამხანაგობამ — 300 მ. და ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობამ — 200 მან. აგვისტოს გასულს მოუვიდა კიდევ სამზრუნველოს ორი დიდი შემოწირულობა, სახელდობრ: 1897 წ. აპრილში გარდაცვალებულის ტფილისის ვაჭრის ივანე დავითის ძის ხუდადოვის ანდერძისამებრ 1,500 მან. და განსვენებულის ეკატერინე თანდოევის ანდერძის აღმსრულებელთაგან — 500 მ.

აცხადებს-რა საქვეყნოდ შემომწირველთა სამადლობელ საქმეს, სამზრუნველოს ჰსურს გააცნოს საზოგადოებას თავისი მოქმედება, რომელიც დაიწყო კავკასიაში 1889 წლიდგან და საშინელი მდგომარეობა უსინათლოთა და იმედი აქვს, რომ სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და ხელს გაუწოდებენ ამ საკეთილო დაწესებულებას.

როგორც ამ უკანასკნელ საერთო აღწერიდგანა სჩანს, ორივე თვალით ბრმა ყოფილა კავკასიაში 11 ათასამდის, რომელთა მომეტებული ნაწილი სიღარიბესა და სისაძაგლეში ატარებდნენ თავიანთთვისაცა და სხვისთვისაც გამოუყენებელ ცხოვრებას. მარტო ამ სამზრუნველოს განყოფილების დაარსება უმსუბუქებს ცოტად თუ ბევრად გატანჯულს ცხოვრებას უბედურთ. დაარსებიდგან განყოფილება შემწეობას აძლევდა თვალით ავადმყოფთ, ჰგზავნიდა თვალის ექიმებთან, დააარსა ტფილისში უფასო საავადმყოფო და აგრეთვე სასწავლებელი უსინათლოთათვის, რომელშიაც 30 ბავშვი სწავლობს. ამ ჟამად სამზრუნველოს განყოფილება იშენებს საკუთარს სახლს სასწავლებლისათვის და მაშინ შეიძლება 50-მდის მოსწავლე იქმნას მიღებული. სამზრუნველოს განზრახვა აქვს დააარსოს სხვა ქალაქებშიაც უსინათლოთათვის უფასო საავადმყოფოები და არ ივიწყებს იმ ავადმყოფთ, რომელთაც დღეს თუ არა ხვალ საშიში უბედურება მოელით. ზემოდ მოყვანილ უსინათლოთა რიცხვში მარტო 700 უსინათლოა დაბადებითგანვე. უსინათლოთა $^9/_{10}$ თვალის ავადმყოფობისა და თავისს დროზედ უქიმობისა გამო დაჰკარგვიათ თვალის ჩინი. ამ უბედურთა მომეტებული ნაწილი კავკასიაში სოფლების მცხოვრებთაგანნი არიან, რადგან უპატრონობისა გამო არა სწამლობენ დროზედ თავიანთს თავს. ამათ საშველად განყოფილებას საჭიროდ მიაჩნია ჰგზავნოს აქეთ-იქით თვალის ექიმები. თუმცა საჭირო თანხა არ მოეპოვება სამზრუნველოს განყოფილებას ამ აზრის განსახორციელებლად, მაგრამ მაინც, როცა-კი საშუალება ნებას აძლევს, არაფერს ჰზოგავს ამ საქმისათვის. წრეულს, მაგალითად, ისარგებლა-რა ექიმის აისტრბოვის ყოფნით ქ. სოხუმში, რომელმაც უფასოდ აღუთქვა წამლობა თვალით ავადმყოფთ, გაუგზავნა სამზრუნველომ საჭირო იარაღი და წამლები.

რადგან ყველა ამ საჭიროებათა და საკმაყოფილებლად უსინათლოთა სამზრუნველოს განყოფილებას არ მოეპოვება ჯეროვანი თანხა, ამიტომ საჭიროა დახმარება საზოგადოებისა და სამზრუნველოს იმედი აქვს, რომ ამ მხრივ მოწყალე ხელი ქველ-მოქმედთა და შემომწირველთა არა დაშვრების.

# რუსეთი

ამ წლის გასულს, დეკემბერში, უნდა მომხდარიყო კრება რუსეთის ფარმაცევტთა. ეს კრება მერმისისათვის გადაიდო, რადგანაც, ამბობენ, ზოგიერთი საგნები, რომელიც ფარმაცევტთა კრებას უნდა განეხილა, უკვე განხილულ იქმნენ ეხლახან მომხდარ მკურნალთა საერთაშორისო კრებაზედ.

— ქ. ოდესაში სატეხნოლოგიო ინსტიტუტის დაარსების საქმე მალე გადაწყდება. ოდესის გაზეთები სწერენ, რომ ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაავალა ტეხნიკს გამოსთქვას თვისი აზრი შესახებ იმისა, რა განყოფილება უნდა დაარსდეს ინსტიტუტში. ტეხნიკმა თავის მხრივ სთხოვა ინჟენერებსა და ტეხნიკებს, რომელთაც კარგად იციან ადგილობრივი პირობანი, გამოიკვლიონ ეს საქმე. მათ მიერ გამოკვლეული მოხსენება ამ დღეებში უკვე წარედგინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. მოხსენებაში სწერია, რომ ინსტიტუტში საჭიროა დაარსება ხუთის განყოფილებისა: სამთო, სამეხანიკო, საქიმიო, საელექტროტეხნიკო და გემების გაკეთებისა.

— განზრახვა აქვთ, პეტერბურგის რკინის გზების მატარებლებში დანიშნონ ხოლმე ბეითალები, რომელთა მოვალეობა იქმნება თვალ-ყური ადევნონ ყოველგვარ სანოვაგეს, რომელიც-კი იგზავნება პეტერბურგში რკინის გზით და განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციონ ხორცსა და ნანადირევს.

— ამ ცოტა ხანში რკინის გზათა დეპარტამენტი გამართავს კრებას, რომელმაც უნდა განიხილოს ეხლანდელი დადგენილება შესახებ რკინის გზის მოხელეთა უფასოდ მოგზაურობისა რკინის გზის მატარებლით.

# უცხოეთი

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** გაზ. „ფრანკ ფურტის გაზ.“ სწერერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ ამ ჟამად ოსმალეთი ყველაზედ ძალიან მოწადინებულია ზავის შეკვრას, რადგანაც თესალია სწორედ სასაფლაოდ გადაიქცა იმის ჯარის-კაცებისათვის. ამ უკანასკნელ სამის თვის განმავლობაში სამი ათასი ჯარის კაცი მოკვდა იქ ციებ-ცხელებისაგან. აქნამდის 200 ათასი ჯარის კაცი სცხოვრობდა თესალიის ხარჯით, ხოლო ეხლა-კი ოცსაც აღარ შეუძლიან, რადგანაც ოსმალებმა ყველაფერი წაიღეს, რის წაღებაც შეიძლებოდა. გაზ. „Journal“-ი ამის თაობაზედ სწერს, რომ ძლივს დადგა ის დრო, როდესაც თესალია საბერძნეთს დაუბრუნდებაო. ტანჯულმა და დაწიოკებულმა თესალიელებმა იქნება ეხლა მაინც მოისვენონო. თესალიის ახალი საზღვარი მეტად გამოსადეგი და სახეიროა ოსმალეთისათვის. ყველა გზები და სიმაღლეები ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში, ასე რომ ომის დროს ამ საზღვარზედ მოწინააღმდეგე ვერ გაუმაგრდება. საბერძნეთს ბევრი მეცადინეობა და ფული დასჭირდება საზღვარის გასამაგრებლად, მაგრამ ეს იმათი საქმეა: თავიანთ ბრალია, რომ მოუმზადებლებმა ომი დაიწყესო.

**სამთა კავშირი და ინგლისი.** ამ ბოლოს დროს ევროპის ჟურნალ-გაზეთებმა ძალიან მოუხშირეს ლაპარაკი ინგლისისა და სამთა კავშირის შესახებ. მათის აზრით ინგლისი გულით მოწადინებულია სამთა კავშირს დაუახლოვდეს. მას შემდეგ რაც რუს-ფრანგთა კავშირი იქმნა დადებული, ინგლისი მარტოდ-მარტო

---

ხალს. ქარხანასთან გამართულია სასწავლებელი, საავადმყოფო, ელექტრონის სადგური და სხვა. წლიური შემოსავალი 1.274.195 მან. 2) ელენოვის ქარხანა ამზადებს სულ 12.600.000 გრადუსს სპირტს. აგურის ქარხნებიც აქვს. საზოგადოდ მუშის ქირა კაცისა 8 მან., ქალისა 6 მან. მარტო მუშის ქირა ერთის წლის განმავლობაში მიდის 396.106 მანეთი. ხარჯი მემამულესია.

გუტიანის მამულში დაარსებულია საკუთარი სასწავლებელი 1882 წელს. მას აქეთ სასწავლებელში უსწავლია 428 მოსწ., 289 ვაჟს და 139 ქალს. ამათში სწავლა დაუმთავრებია 113 ვაჟს და 18 ქალს. წლიური ხარჯი სასწავლებლს 2548 მან. უნდება. ამავე მამულში არის საავადმყოფო, რომლის შენახვა წელიწადში ჯდება 8145 მან. საავადმყოფოს მოქმედების დასახასიათებლად მოვიყვანოთ 1896 წ. ანგარიში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საავადმყოფოები სამს ალაგს არის. სამივე საავადმყოფოთი ერთის წლის განმავლობაში უსარგებლია 12.672 ახლო მცხოვრებლს. კენიგის მამულში რამდენიმე არტეზიანის ჭაც არის.

7) ა. პეტროვის ფარდული. ეს ფარდული ეკუთვნის წინანდლებთან შედარებით პატარა მემამულეს ორლოვის გუბერნიისას. პეტროვს სულ 1020 დესეტინა მიწა აქვს, მაგრამ მშვენივრად მიჰყავს მეურნეობის საქმე. პეტროვს მეურნეობის გარდა მრეწველობაზედაც აქვს მიქცეული ყურადღება. იმის მამულში ჰმუშობს რამდენიმე აგურის ქარხანა, წისქვილი (ორთქლისა), საპნის ქარხანა და სხვა. მუშებს ქირად აძლევს 20—70 მან. წელიწადში. ხარჯი მემამულისაა. წისქვილი, რომელსაც ნავთის მანქანებით ამუშავებს, იძლევა დღეღამეში 180 ჩეტვერტს. წისქვილში ჰმუშაობს 70 კაცი. მეორე ადგილსაცა აქვს წისქვილი, სადაც 35 კაცი ჰმუშაობს. საპნის ქარხანაში ამზადებენ 30.000 ფუთს სხვა-და-სხვა საპონს. პეტროვის მოქმედება მით უფრო შესანიშნავია, რომ მან უვარგისი მიწა-ნიადაგი საუცხოვოდ გადააკეთა და მოსპო თითქმის ყველა დამაბრკოლებელი მიზეზი.

8) მ. სარიუმ-ზალესკის ფარდული. ქალბატონ მ. სარიუმ-ზალესკისას ეკუთვნის იასნოგოროდის მამული, რომელიც შეიცავს 3500 დესეტინას, 1200 დესეტინა ტყე არის, დანარჩენი სახნავ სათესი. 2000 დესეტინაზედ მოჰყავთ ქერი, პური და სხვ. ამ მამულში საშინელი ხრამები და ღრეებია, იქ თუ რასმეს მოახერხებდა ადამიანი, არავის ეგონა, მაგრამ პატრონის გამჭრიახობამ ყველაფერი საკეთილდღეოდ მოაწყო და დღეს ამ უფსკრულს მშვენიერი მოსავალი მოაქვს. მამულში არის ორთქლის წისქვილი, რომელიც დღეღამე იძლევა 500 ფუთს. ფქვილის ნიმუში ფარდულშია გამოფენილი. ჰმუშაობს წისქვილში 45 კაცი. მეფუტკრეობასაც დიდს ყურადღებას აქცევენ. ამ ჟამად 150 სკა (როგო) აქვთ, რომელიც 500 უნდა აიყვანონ. მეფუტკრეობისთვის ძალიან ხელშემწყობი გარემოებაა იქვე: 140 დესეტინა ცაცხვის ტყეა, გაშენებულია აგრეთვე ლობიოს ხე და სხვ. ამისდა მიუხედავად, დიდი ადგილები აქვს დათმობილი განგებ ფუტკრისთვის სხვა და სხვა მცენარეებს. ამ წელიწადში მოუყვანიათ 80 ფუთი თაფლი და რამდენიმე ფუთი სანთელი. მამულში მზადდება საუცხოვო ხილის ღვინო, 30 დესეტინა მარტო ბაღს უჭირავს.

ჩვენ კიდევ ვიტყვით ორიოდე სიტყვას ერთ კერძო ფარდულის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ერთს არა-ჩვეულებრივ და სამაგალითო სასწავლებელს, მერე საზოგადო განყოფილებას შეეხებით.

9) მ. მარიუც-გრინევის ფარდული. ქ. მ. მარიუც-გრინევისას ბერდიჩევის მაზრაში (კიევის გუბერნიაშია) გამართული აქვს საქალებო სასოფლო-მეოჯახობის პრაქტიკული სასწავლებელი. ეს ფარდული გარეგნობით ვერ მოგხიბლავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, შეხვალთ თუ არა შიგ, დაგაფიქრებთ და თან გასიამოვნებთ. ასეთი სასწავლებელი მხოლოდ ერთად ერთია მთელს სამხრეთ-რუსეთში, დიდხანს არსებობს და ჰმოქმედობს, სამწუხაროდ, უამხანაგოდ. ამ სასწავლებელში ქალები სწავლობენ მეოჯახობის ყველა დარგს თეორეთიულად და პრაქტიკულად. ფარდულში გამოფენილია სხვა-და-სხვა იარაღი, რომელსაც ხმარობენ მუშაობის დროს. სხვათა შორის იქვეა გირსონის ინკუბატორი და ბურსიეს ინკუბატორი. ამ მანქანების წყალობით შეიძლება გაიჩინოთ ჰუჰულები, ამისთვის საჭიროა — თუ პირველს მანქანას იხმარებთ — ასი კვერცხი და ლამპარი, თუ მეორეს იხმარებთ — ასი კვერცხი და თბილი წყალი. გამოფენილია სხვა მრავალი ხელ საწყო ფრინველის წესიერად გაშენებისათვის. იქვეა ალფას სეპარატორი, რომელიც რძეს ძროხის მოწველისთანავე ნაღებს აშორებს. ამით ეძლევათ ადვილი საშვალება ნაღების კარაქის მზადებისა. მეფუტკრეობის ნიმუშიც არის. აწყვია იქვე მურაბები, კომპოტი, გამშრალი ხილი, კანფეტი და სხვ. სამზარეულოში სახმარი იარაღებიც არის გამოფენილი.

ზემო ჩამოთვლილ იარაღებს იქვე, გამოფენაზედ, ჰხმარობენ პრაქტიკულად, ასე რომ მნახველს დიდს ინტერესს უღვიძებს და აძლევს საშუალებას გაეცნოს წესიერს მეოჯახობას. ყველა ამას უხსნის ხალხს თვით სასწავლებლის უფროსის კლასის მოსწავლე ქალები. ნეტავ იფიქრებენ ჩვენის ქალებისთვის ასეთის სასწავლებლის დაარსებას როდისმე? მისი დაარსება მოგვცემს ხეირიან დიასახლისებს და არა ისეთ ქალბატონებს, რომელნიც ცოცხალ ზუთხის მოსამზადებლად ხიზილალას ჰყრიან წყალში და ელოდებიან — როდის გაიზრდება ზუთხიო. ღმერთმა მალე გვაჩვენოს გრინევის სასწავლებლისთანა სასწავლებელი ჩვენს დაქვეითებულს ქვეყანაში.

მალაქია ბოლქვაძე

(შემდეგი იქმნება)

დარჩა და ეხლა სცდილობს მეგობრები და მომხრეები შეიძინოსო. ხოლო ყველაზედ სარფა და გამოსადეგი ინგლისისათვის სამთა კავშირია. აი, ეხლაც რომიდგან სწერენ გაზ. „Berliner Togeblatt"-ს, რომ ხმა დადის, ვითომც სალისბიურიმ წინადადება მისცა სამთა-მოკავშირე სახელმწიფოთ, რომ ინგლისი შეიკავშიროს. ამისდა მიუხედავად, ზოგიერთი გაზეთები მაინც ეჭვში არიან და არა სჯერათ, რომ ინგლისი ვისმეს დაუახლოვდეს. იმათის აზრით ინგლისს მარტოსაც კარგად მიჰყავს თავისი საქმეები და შიში, თუმცა იმის წინააღმდეგ ბევრს ლაპარაკობენ, არსაიდგან მოელისო. გარდა ამისა, საეჭვოა, რომ სხვა სახელმწიფოებმა თანხმობა განაცხადონ და ინგლისი მოკავშირედ გაიხადონ. საიდუმლო ალარავისთვისაა, რომ ინგლისი თავის კერძო პოლიტიკის მიმდევარია და გულითადს მეგობრობას თავის დღეში არავის გაუწევსო.

—

**ისპანია და ამერიკის შეერთებული შტატები.** გაზეთები სწერენ, რომ კუნძულის კუბის ამბოხებამ შეიძლება ისპანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ომი გამოიწვიოსო. საქმე ის არის, რომ ამერიკას დიდი ვაჭრობა ჰქონდა კუნძულ კუბასთან და ეხლა ამბოხების გამო ეს ვაჭრობა სულ ერთიანად დაეცაო. აი, სწორეთ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება შეერთებულმა შტატებმა და მოიწადინა ბოლო მოუღოს ამბოხებას. როგორც მადრიდიდგან დეპეშით იუწყებიან, შეერთებულ შტატების ელჩმა ისპანიის გარეშე საქმეთა მინისტრს უთხრა, რომ თუ კუბაზედ ომი არ იქნება მოსპობილი, შეერთებული შტატები იძულებული გახდება რაიმე ღონე იღონოს როგორც კუბის ჯარისა, აგრეთვე ისპანიის წინააღმდეგაო. ამ ამბავმა დიდად აალელვა თურმე ისპანელები და ყველანი ერთხმად ურჩევენ მთავრობას, რომ მან ღირსეული პასუხი გასცეს შეერთებულს შტატებს.

## დამაკვირდი

რჩევასა და დარიგებას-კი აძლევენ და შკუას-კი არა, რომ ეს რჩევა დარიგება გამოიყენოს.

ლაროშფუკო

* * *

ვინცა ქმიებს, იგი ჭპოკებს, ხოლო, რასაკვირველია, არა ის, რომელიც იმდენად სულელია, რომ სამებნელს იქ არ ქმებს, სადაც შეიძლება პოვნა.

რუკკერტი

* * *

მოედრეკინე, მაგრამ ნუ გადამტვრეგინები.

გიოტე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

უწინდელ დროს მრავალმა სხვა და სხვა ტომის ხალხმა იცოდა, მიცვალებულის გაცილების დროს მომტირალთა ცრემლს შეაგროვებდნენ ხოლმე და მერე ყოველგვარ ავადმყოფობასა სწამლობდნენ ამ ცრემლით. ეს ჩვეულება ეხლაც თურმე ძლიერ არის გავრცელებული სპარსთა შორის. მიცვალებულის გაცილების დროს ქირისუფლებს სათითაოდ ურიგებენ პატარ-პატარა ღრუბლებს, რომლითაც მომტირალნი თვალებს იწმენდენ. განსვენებულის დასაფლავების შემდეგ ამ ღრუბლებს ჩამოართმევენ, დასწურამენ ცრემლსა და წამლად ინახავენ.

* * *

ბერლინის პროფესორმა გირშბერგმა ეხლახან წარუდგინა მკურნალებს მეტად საყურადღებო მოხსენება შესახებ იმისა, როგორ უნდა ამოაცალოს მკურნალმა რკინის ნამცეცი, რომ თვალში ჩაუვარდეს კაცსა. ეს პროფესორი რკინის ნამცეცს თვალიდგან აცლის ფოლადის შემწეობით. ბ-ნ გირშბერგს 100 კაცის თვალი მოურჩენია და რკინის ნამცეცი ამოუღია. ერთს მუშას თვალში რკინის ნამცეცი მოხვდა; ვერც ერთმა მკურნალმა ვერ ამოუღო. პროფესორმა გირშბერგმა მიიტანა თვალთან ფოლადი და რკინის ნამცეცი იმ წამსვე თავის თავად გამოვიდა და ფოლადს მიეკრა.

* * *

ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკაში თურმე ამ ჟამად არის შენახული შექსპირის დრამები, გამოცემული 1622 წელს, ესე იგი 7 წლის შემდეგ, რაც თვით შექსპირი გარდაიცვალა. ასე ამბობენ, ეს დრამები გამოსცეს შექსპირის ამხანაგებმა ჰენიჯემმა და ლონდელმაო. 1858 წელს ამ წიგნის ერთი ცალი იყიდა იმპერატორმა ვილჰელმ პირველმა.

ზოგნი-კი ამბობენ, რომ იმპერატორს ვილჰელმს ეს წიგნი დედოფალმა ვიქტორიამ უფეშქაშაო. საყურადღებო ის არის, რომ წიგნში ჩართულია სურათი შექსპირისა და მცოდნე კაცები ამტკიცებენ, რომ ეს სურათი ნამდვილად შექსპირისა არის და სხვა სურათები-კი არაო.

## ახალი წიგნები

—

ჩვენ მივიღეთ ზ. ჭიჭინაძის მიერ ახლად დაბეჭდილი წიგნი „სახალხო ლექსები და ლეგენდები" ამირანზე, ეთერი და აბესალომი, აბრაამისა, ისააკისა და იობის ლექსი, ლექსი დავით აღმაშენებელსა, თამარ მეფესა და ოს ბაყათარზედ, ორი პატარა ლექსი მეგრულის კილოთი და ერთიც აფხაზური ნანა. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 82 გვერდს და ღირს 20 კაპ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 სექტემბერი.

**კონსტანტინეპოლი.** საოპერციო ჯარის შტაბის უფროსი ომერ-რუშდი და იმის თანაშემწე ბრიგადის გენერალი ზეიფულა დანიშნულ იქმნენ იმ კომისიის დელეგატებად, რომლებმაც საზღვარი უნდა გაიყვანოს. კომის წასვლის დრო ჯერ არ არის დანიშნული.

**ვენა.** „პოლ. კორეს."-ს კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ პორტამ დაადგინა საბერძნეთის მიერ პირველ დაწყებითი ხელშეკრულობის მიღების შემდეგ, დაითხოვოს ორი მესამედი საოპერციო ჯარისა თესალიასა და იანინაში, დაახლოვებით 75,000 კაცი რედიფი, ხოლო 40,000 ნიზაში თესალიაში დარჩება.

**სიმლა.** გენერალ ელლისის ბრიგადის უფროსი, გენერალი ვესტმაკოტტი გუშინ ერთ-ერთ აჯანყებულის ტომის სოფლებს დაეცა. მტერმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ბოლოს მაინც განდევნილ იქმნა მთებში, მაგრამ მერე მოწინააღმდეგემ დაანგრია ინგლისელების სიმაგრეები და კოშკები, რის შემდეგაც ინგლისელებმა უკან დაიწიეს.

**ბუდაპეშტი.** რუმინიის მეფე-დედოფალი აქ მოვიდნენ. სადგურზედ დახვდნენ იმპერატორი ერც-ჰერცოგი ოტონი და ერც ჰერცოგინია მარია—ჟოზეფი. ნაშუადღევის ხუთს საათზედ სასახლეში სადილი იქმნა გამართული, ხოლო საღამოზედ საოპერო თეატრში წარმოდგენა.

**კონსტანტინეპოლი.** ნელიდოვი მიპატიჟებული იყო ილდიზ-კიოსკში ჩაიზედ. სულთანმა გამოთხოვების დროსაც მიიღო ნელიდოვი.

პეტერბურგის ბირჟა, 16 სექტემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 203 | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 97¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 285½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 245½ |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ახალი ქართული წიგნები:

1) **„ბუნება და ცხოვრება"**, თხზ. ილია ალხაზიშვილისა, ფასი გაგზავნით 60 კაპ.

2) **„ჩვენს ქალებს"**, ფრიად საჭირო წიგნი ჩვენი ქალებისათვის—20 კაპ.

3) **„ახალი საუკეთესო წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში"**—10 კაპ.

4) **ალბომი „ქართველთა ტომი"** ასის სურათით, ყდით და გაგზავნით 3 მან. 40 კაპ.

**ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. 3—166—3.

## იმლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში **ათი ოთახი**, წყლით, საბანებელით და სხვა მოწყობილობებით და ზემო სართულში **ხუთი ოთახი** თავისის მოწყობილობებით.

10—7

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12.

სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს.

(10—უ—7)

# საყურადღებოა ავადმყოფთათვის

**ვისაც ქარები აწუხებს** (იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ძვალი დასივდება), **კუჭის ავადმყოფობა, გუასილი, ნაფაზი, სისხლნაკლებობა** და საზოგადოდ **გაციებულთათვის** ყველა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ძლიერ კარგია სახელ-განთქმული ეგრედ წოდებული „კუზმიჩის ბალახი" („Кузьмичева трава"), რომელიც ძლიერ ბევრი იყიდება.

ნამდვილი „კუზმიჩის ბალახი", ახალი, დაბეჭდილი ტილოს პარკებში, ფესვებით და ნაყოფით. მაისში დაკრეფილი, მეტად-სუნელოვანი, მივიღეთ ტფილისში და იყიდება **მხოლოდ** შემდეგ სააფთიაქო მაღაზიებში: როსტომოვისა, პუშკინის ქუჩაზედ; პაპოვისა, ვარანცოვის ხიდთან; არისტაკოვებისა, ვარანცოვის ძეგლთან და მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 104; იშხანოვისა; ოჰანესიანცისა (მიხეილის ქუჩა); ფოსსისა; ფირალოვისა (ოლგას ქუჩა), ჯანაგოვისა, რიყის მოედანზედ; და აფთიაქებში: აღმუროვისა, კამოცკისა და პერლოვის ჩაის მაღაზიაში, პუშკინის ქუჩაზედ. (4—171—3)



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისაც, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასაღესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარიშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—11)

**Съ 1-го ноября 1897 года**

**БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ Г. КІЕВѢ**

**еженедѣльная газета**

# „РОССІЯ и АЗІЯ".

Подписная цѣна въ годъ безъ доставки и пересылки 5 р.; съ доставкой и пересылкой 6 руб., за границу 7 руб., на полгода безъ доставки 3 руб., съ доставкой и пересылкой 4 руб., за границу 5 р.

Краткая программа изданія: 1) передовыя статьи, посвященныя еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и русской политикѣ на Востокѣ. 2) Извѣстія съ Востока. 3) Русскіе инородцы (евреи, инородцы Волги, Финляндіи и Крыма). 4) Нелѣльная хроника русскихъ окраинъ. 5) Сношенія Россіи въ Востокомъ. 6) Научно-литературный отдѣлъ: повѣсти, романы, стихотворенія, драматическія произведенія оригинальныя и переводныя, популярныя изслѣдованія по еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и Востоку, ихъ антропологія, переводы древневосточныхъ произведеній, критика и библіографія и т. п.

Въ газетѣ принимаютъ участіе лучшіе спеціалисты и знатоки Азіи.

Подписка принимается отъ иногородныхъ по адресу: Кіевъ, Университетъ св. Владимира, Алексѣю Николаевичу Грену.

Редакторъ-Издатель: приватъ-доцентъ А. Н. ГРЭНЪ.

(4—у.—2).

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.